ისინი იცვლებიან და ძალაუნებურად ცვლიან გარემოს რომელშიც უწევთ ყოფნა. ისინი გახდნენ და ხდებიან ინრომაციის წყარო, ახალი ინოვაციების მიმწოდებელნი, ახალი უშუალო ურთიერთობის დამწყებები. ყოველდღიური დიალოგი თემთან.

კითხვა თუ რას ფიქრობს თემი?
ერთი წლის თავზე რადიო „მარნეულის" გუნდმა შეძლო და შექმნა მედია პლატფორმა, რომელიც აძლევს საშუალებას თემის ნებისმიერ წარმომადგენელს განურჩევლად მისი სქესის, ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობის გამოხატონ საკუთარი აზრი, გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები, გადავიდნენ ურთიერთობის ახალ ტალღაზე.

სათემო რადიოს ლიდერი – მენეჯერი იმავდროულად არის ტრენერიც. მან ერთი მხრივ, უნდა მოახდინოს რადიოპროგრამები და უზრუნველყოს სათემო რადიოს ეთერში მაუწყებლობა, მეორე მხრივ კი უნდა იზრუნოს მოხალისეთა მოზიდვასა და მათ გაწვრთნაზე.

RADIO MARNEULI

სათემო რადიოს მენეჯმენტი მუდმივად დაინტერესებულია, რომ თემიდან რაც შეიძლება მეტი მოხალისე მოიზიდოს და მათ შეასწავლოს, ერთი მხრივ, რადიოსაქმე და პროგრამების მომზადების ტექნოლოგია, მეორე მხრივ კი მათგან აქტიური სათემო მუშაკები მიიღოს.

რაც შეეხება ცალკეული მიმართულებების პროდუსერებსა და ცალკეული გადაცემების ავტორებს, სრულებითაც არ არის სავალდებულო, რომ ისინი შტატიან თანამშრომლებად დასაქმდნენ სათემო რადიოში. მენეჯერის მსგავსად სათემო რადიოს თითოეული თანამშრომელიც პოტენციურად ტრენერია, რომელსაც მოხალისეების მომზადება შეუძლია.

მარნეულის სათემო რადიოს თანამშრომლებს გავლილი აქვთ და მიღებული აქვს ტრენინგები და პრაქტიკა იმისათვის რომ მათ შეძლონ ახალი წევრები ასწავლონ და მომაზადონ მოხალისეები.

ვინაიდან სათემო რადიო უფრო მეტად სათემო ცენტრს წარმოადგენს, ვიდრე მედიასაშუალებას, არ არის აუცილებელი, რომ სათემო რადიოს პროგრამები ჟურნალისტური ტექნიკის თვალსაზრისით ბოლომდე გამართული იყოს. მთავარია, რომ სად სარგებელი მოჰქონდეს თემისთვის და მისი თითოეული წევრისთვის.

მიუხედავად ამისა, რადიო მარნეულის საშტატო ჟურნალისტებმა ძალიან კარგად აითვისეს ჟურნალისტური სტანდარტებით მუშაობა და ყოველდღიურად ცდილობენ ჟურნალისტური სტანდარტებით მოამზადონ საკუთარი პროდუქტი.

უფრო მეტად ეს არის სხვადასხვა აზრის გამოხატვის მცდელობა და მრავალფეროვნების პრინციპით აგება მასალის რომელზეც ჟურნალისტები მუშაობენ. ამიტომ მნიშვნელოვანია რომ არხის დასახლება და სტილი თემის ყველა წევრისთვის იყოს შინაური და ნაცნობი.

ახლობლის ხმა, მეგობრის აზრი, მასწავლებლის თუ უბნის ექიმის რჩევა. ასე იქმნება თემის წევრების ხმებით რადიოს იმიჯი. თემის წევრების მიერვე მომზადებული საეთერო მუსიკითა და გადაცემების გაფორმებით.

სათემო რადიო პერიოდულად გვევლინება გარე ღონისძიებების ორგანიზატორად, როგორიცაა მუსიკალური და სხვა სახის ფესტივალები და გამოფენები, რომელიც ხელს უწყობს თემის კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას, თემის შეკვრას საერთო ინტერესების და მისწრაფებების ირგვლივ.

სათემო რადიოს სარედაქციო დამოუკიდებლობა კანონით დაცულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ზეგავლენისაგან. ქვემოთ მოცემული ძირითადი პრინციპები, რომელთაც ეფუძნება მარნეულის სათემო რადიოს თითოეული თანამშრომლის და მოხალისის მუშაობა, დამატებით გარანტიებს ქმნის სარედაქციო დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, საქმიანობის პროფესიული სტანდარტებისა თუ ეთიკური ნორმების დაცვით განსახორციელებლად.

- სათემო რადიოს მიზანია დებატების მეშვეობით თემის ინფორმირება, გართობა და შემეცნება;
- სათემო რადიო გააძლიერებს თემის წევრებს, გამოუმუშავებს მათ იმუნარ-ჩვევებს, რომლის მეშვეობითაც ისინი პროფესიული დონის რადიოგადაცემებს მოამზადებენ და განიხილავენ თემისთვის აქტუალურ საკითხებს;

- პროგრამის ავტორებმა ეთერში მის გასვლამდე კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმონ ინფორმაციის სიზუსტე;
- პროგრამის ავტორებმა აუცილებლად უნდა აიღონ ინტერვიუ ყველა იმ პირისგან, ვისაც ეხება ეს ინფორმაცია და უნდა უზრუნველყონ, რომ შეგროვებული ინფორმაცია სრულად მოხვდეს საბოლოო სიუჟეტში;
- თუკი რადიოპროგრამა ბრალს სდებს ან აკრიტიკებს ცალკეულ ინდივიდს ან მთელ ჯგუფს, მათ უნდა მიეცეთ ეთერში პასუხის გაცემის უფლება;
- სათემო რადიო უნდა აშუქებდეს ყველა იმ ჯგუფის კულტურას, რომელიც ცხოვრობს ამ თემში და პატივს სცემდეს მას;
- პროგრამის ავტორებმა არ უნდა გამოიყენონ პროგრამა საკუთარი ან ვინმეს კერძო ინტერესების ექსკლუზიური დაცვისთვის.

## ცოტაოდენ მარნეულის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის, იგი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მარნეულის მუნიციპალიტეტს სამხრეთი საზღვარი საქართველო-სომხეთის; ხოლო აღმოსავლეთის საზღვარი - საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრების მუნიციპალიტეტის ფართობი 935,2 კვ. კმ-ს შეადგენს და ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ სიმაღლეზეა. მუნიციპალიტეტში შედის ერთი ქალაქი და 17 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც 83 სოფელია გაერთიანებული.

RADIO MARNEULI

მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან ქ. რუსთავიდან - 48 კმ-ით, აზერბაიჯანის საზღვრიდან - 30 კმ-ით და სომხეთის რესპუბლიკის საზღვრიდან - 30 კმ-ით.

მარნეულის მუნიციპალიტეტში შედის თავად ქალაქი მარნეული და 17 ტერიტორიული ორგანო: წერეთელი, შაუმიანი, შულავერი, ყიზილაჯლო, ყულარი, დამია-გეურარხი, ახკერპი, წერაქვი, ალგეთი, კაჩაღანი, ქუთლიარი, თამარისი, ხოჯორნი, კაპანახჩი, სადახლო, კასუმლო და ოფრეთი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა, შეადგენს - **137,314 ადამიანს.**

მათ შორის ქალაქ მარნეულში ცხოვრობს **28'000 ადამიანი.**

მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ქართველები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები .

სარწმუნოების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაჰმადიანია, შემდეგ მოდის მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა ძირითადად არის სომხურ-გრიგორიანელი.

მარნეულის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი მრავალფეროვნებით. ქართული, აზერბაიჯანული, სომხური სკოლები, ბაღები. შერეული ოჯახები. მეზობლები ერთ სადარბაზოდან რომლებიც განხვავებულები არიან საკუთარი სარწმუნოებით ან ეროვნებით. უახლოვესი მეგობრები რომლებსაც აერთიანებთ სკოლა მაგრამ განასხვავებს რელიგია და ეროვნება.

მიუხედავად ამისა მარნეულის მუნიციპალიტეტში დამოუკიდებლობის პერიოდიდან დაწყებული ეთნიკური უმცირესობების აზერბაიჯანელების და სომხების ემიგრაციის ტალღა დაიწყო. სახელმწიფო ენის შესწავლის და საკუთარი თავის დამკვიდრების პერიოდი ერთმა ნაწილმა მეზობელ ქვეყნებში გადაწყვიტა. სახელმწიფო ენის არცოდნა გამოიწვია დიდი ინფორმაციული ვაკუუმი. ინფრომირებულობის წყარო გახდა მეზობელ ქვეყნების მედიასაშუალებები რაც ქმნიდა და დღემდე ქმნის მოსახლეობაში არასწორ მოსაზრებას. 30 კმ თბილისიდან მარნეულის მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ქვეყანაში განხორციელებულ ნაბიჯებზე, მიმართულებაზე. გარიყულობის შეგრძნება მოსახლეობის დიდ ნაწილში ქმნის ჩაკეტილობას. მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ჩართული თემის ცხოვრებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. ცენტრალურმა მედიამ შექმნა ბევრი სტერეოტიპი მარნეულში მცხოვრებ მოსახლეობაზე. და მათ სამწუხაროდ არ ეძლევად საშუალება უპასუხონ ან გამოთქვან საკუთარი აზრი. მათ არ ეძლევად საშუალება დაამსხვრიონ წლებით შექმნილი სტერეოტიპები, დაანახონ მაგალითები ჯანსაღი ინტეგრაციის.

RADIO MARNEULI

მუნიციპალიტეტში ძირითადათ სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები. კარგი ადგილმდებარეობა საზღვრებთან, სიახლოვე ცენტრთან ქმნის ძალიან კარგ გარემოს ვაჭრობისთვის. მაგრამ ქვეყანაში ხორციელდება ძალიან ბევრი სასარგებლო რეფორმა, თუნდაც სოფლის მეურნეობის დარგში და სამწუხაროდ მათვის გასაგებ ენაზე ამ რეფორმების შესახებ არავინ უყვებათ. რაც აფერხებს მოსახლეობის დიდ ნაწილს იგრძნონ თავი საქართველოს სრულყოფილ მოქალაქეთ. ამიტომ სათემო რადიო „მარნეული“ ძალიან მნიშვნელოვანი როლი და მისია აიღო საკუთარ თავზე.

იმით რომ თემის თითოეულ წარმომადგენლისთვის იქნება ეს ფერმერი–რომელსაც მოუყვებიან ახალ ევროპულ სტანდარტებზე მისთვის გასაგებ ენაზე, მასწავლებელი–რომელსაც აუხსნიან თუ რისთვის არის საჭირო ტესტირება და რა ახალი სახელმწღვანელოებია გამოსული, სკოლის მოსწავლისთვის თუ რა

პერსპექტივას აძლევს მას სახელმწიფო ენის ცოდნა, ახალგაზრდებისთვის, დიასახლებისთვის და ასე ყველა თემის წარმომადგენლისთვის იფნრომაციის მიწოდება, მათთან დისკუსია და აზრის გაგება იმისთვის რომ სამოქალაქო საზოგადოება გააქტიურდეს და მითითებების გარეშე დაინახოს ის საშუალებები რომელიც მას ეძლევა სახელმწიფოს მხრიდან და სხვა ალტერნატიური წყაროებიდან და გააკეთოს არჩევანი.

თუ დღეს მარნეულის მუნიციპალიტეტი ყველასთვის არის ცნობილი მხოლოდ ნაადრევი ქორწინებებით. სათემო რადიო გამოიტანს ამ თემას  თემის ყველა წარმომადგენელთან სასაუბროთ და სადისკუსიოთ ასევე ანახებს რომ მარნეულში ასევე არიან ადამიანები ამ 28'000 ათასიდან ვიცნ ფიქრობს განსხვავებულად და ამას საკუთარ მაგალითზე აკეთებს.

რადიო „მარნეული" მნიშვნელოვანი შენაძენია თემისთვის. ცენტრი, სადისკუსიო სივრცე, რომელიც პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანების მობილიზიაციას ახდენს ერთ სივრცეში.

რადიო მარნეულის დღევანდელი გუნდი თვითონ საკუთარი არსებობით ბუნებრივად გახდა მაგალითი თუ ერთი იდეის ირგვივ როგორ შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა ტიპის, განათლების, ეროვნების, რელიგიის ადამინები. რადიო მარნეულის სტუდიაში ყველდღიურად მოდიან ახალ ახალი ადამიანები სტუდიაში დისკუსიაში მონაწილეობისთვის და რომ ხედავენ რამდენად ჯანსაღი ურთიერთობა არის კოლექტივში სტუმრებს შემდგომში სურთ გახდნენ რადიოს მოხალისეები და საკუთარი იდეებით მოდიან.

მიუხედავად იმისა რომ რადიო ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით აწვდიდა ინფორმაციას საკუთარ საქმიანობის შესახელ მოსახლეობის იმ ნაწილს რომლისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომია.

რადიო მარნეულის თანამშრომლები/ჟურნალისტები 2006 წლიდან ევროკავშირის პროექტის და სტუდია რე-ს დახმარებით შეიძინეს მაღალი ხარისხის სტუდია, კომპიუტერები ამ წლების განმავლობაში ჟურნალისტები ყოველდღიურად ამზადებდნენ რადიო გადაცემებს. სამცუხაროდ 9 წლის წინ ინტერნეტის შესაძლებლობები მარნეულში არ იყო ამიტომ გადაცემები შიდა მოხმარებისთვის კეთდებოდა. იწერებოდა კასეტებზე და დისკებზე და ურიგდებოდა  სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს. რაც არ აძლევდა გარანტიას იმისა უსმენდნენ გადაცემებს თუ არა. 2015 წლიდან ტექნიკური ბაზა განაახლდა და ბრიტანეთის საელჩოს და ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს დახმარებით ორგანიზაციამ შეიძინა დამატებითი საჭირო ტექნიკა. შეიქმნა საიტი და აითვისა სოციალური მედია საშუალებები, რომლის მეშვეობით დღეს ყოველდღიურად 100 უნიკალურ მომხმარებლამდე უსმენს და აზიარებს რადიო

მარნეულის მომზადებულ სიუჟეტებს და საავტორო გადაცემებს. რა თქმა უნდა ეს არ არის კარგი მაჩვენებელი რადგან სათემო რადიო ვერ ითვისებს ყველა თემის წარმომადგენელს მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით. ამიტომ რადიოს დიდი იმედები აქვთ მოიპოვონ სამაუწყებლო ლიცენზია.

სათემო რადიოს გუნდმა რომელიც ჯერ კიდე 2006 წელს ჩამოყალიბდა რადიოს ,,მარნეული" დაარქვა. ყოველთვის მარნეული იყო ასოციირებული პროვინციით არც ისე დადებითი კონტექსტით, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები.ეს იყო გამოწვეული იმით, რომ რეგიონზე არის შექმნილი ბევრი სტერეოტიპი. ენის არცოდნის გამო საქართველოს მოქალაქეების ქვემო-ქართლიდან, ნაკლებად ან სულ არ იყვნენ ჩართულები საქართველოში მიმდინარე პროცესებში. მათი ხმა არ ისმოდა, ან ისმოდა, მაგრამ ზემოდან იყო კარნახი. გუნდმა გადაწყვიტა გაეკეთებინა აქცენტირება ქალაქის დასახელებაზე იმისთვის რომ მარნეული ასოცირდებოდეს არა მხოლოდ წლებით შექმნილ სტერეოტიპებზე, არამედ იმით რომ რადიო ,,მარნეული" დაამსხვრევდა ამ სტერეოტიპებს და ახალ იმიჯს მიცემდა მარნეულის თემის მკვიდრებს. იმიტომ რომ მარნეულელებს აქვთ სათქმელი. მათ უბრალოდ მანამდე არ ჰქონდათ ის პლათფორმა რომელიც მისცემთა ამის საშუალებას.

2007 წლის პროექტის ფარგლებში და დონორების ხელშეწყობით საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციათ ჟურნალისტთა კავშირი ,,ხალხის ხმა" – სათემო რადიო ,,მარნეული" რადიო სადაც ისმის თემის მკვიდრების ხმა.

**სათემო რადიო ,,მარნეული" ამ პრინციპებზე დაყრდნობით მუშაობს და გააგრძელებს მუშაობას:**

- მუშაობს იმისთვის რომ ხელი შეუწყოს და განავითაროს მარნეულის თემი;
- იღებს პასუხისმგებლობას: ხელი შეუწყოს ჰარმონიულ, ინკლუზიურ და კულტურულ მრავალფეროვნებას მარნეულის თემში;
- ხელს უწყობთ დემოკრატიის პრინციპებს, ხელმისაწვდომს ხდით სამართლიანობას, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის ვინც არასათანადოთ არის წარმოდგენილი სხვა მედია საშუალებებში;
- ზრდის ინფორმაციის მრავალფეროვნებას, იმისთვის რომ მარნეულის თემს ჰქონდეს საშუალება გააკეთოს არჩევანი და იყოს ინფორმირებული ყველა სფეროში რომელიც აინტერესებს მას;
- ხაზს უსვამს სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობას;

- ხელს უწყობს ადგილობრივი (თემის) ფოლკლორის, მუსიკის, ხელოვნების განვითარებაში და პოპულარიზაციაში;

- ხელს უწყობს თემის მონაწილეობის ზრდას მაუწყებლობაში;

- გააშუქებს მედია სტანდარტების ფარგლებში იმ თემებს რომლებიც სტრერეოტიპულად არიან გაშუქებულები სხვა მედია საშუალებებში, ასევე სათანადოთ, აკურატულად და დაბალანსებულად მისცემს საშალებას აზრის გამოთქმის და პოზიციის დაფიქსირებას ყველა თემის წარმომადგენელს. ამითი ხელს შეუწყობთ ნდობის დამსახურებას და თემის მონაწილეობას რადიოს მუშაობაში:

- შეიმუშავებს დებულებას რომელიც განსაზღვრავს:

1. ვინ არიან მოხალისეები?
2. მოხალისეების უფლებები და მოვალეობები:
3. მოხალისეების უფლებების და მოვალეობების შეჩერება:

- ყველა შემუშავებული საბუთი იქნება ხელმისაწვდომი ყველა თემის წარმომადგენლისთვის;

- საკუთარი არსებობის ყოველ ნაბიჯზე, რადიოს თანამშრომლების მუშაობის, აზრის გამოთქმით ეთერში, სოციალურ პლატფორმაზე რადიო სახელით: ეწინააღმდეგება ყველანაირ დისკრიმინაციას, და ეცდება აღმოფხვრას აგრესია: ეროვნული, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტეციის ნიშნით:

RADIO MARNEULI

სამაუწყებლო ლიცენზიის მიღების შემდეგ ჟურნალისტთა კავშირი ,,ხალხის ხმა'' – რადიო ,,მარნეული'' განახორციელებს სათემო რადიომაუწყებლობას ზემოთ აღნიშნული კონცეფციის და პრინციპების სრული დაცვით და თავის წვლილს შეიტანს საქართველოში დეცენტრალიზაციისა, დემოკრატიზაციისა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

## მარნეულის სათემო რადიოს აუდიტორია

მარნეულის სათემო რადიოს აუდიტორია არის მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა როგორც მთლიანობაში, ისე მისი ცალკეული ჯგუფები:

– ქალები, ახალგაზრდები, დიასახლისები, ფერმერები, მოსწავლეები, სტუდენტები, ჩაიხანაში პენსიონერები, ბაზრის გამყიდველები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დეპუტატები. ვებ გვერდის მეშვეობით და სოციალური ქსელის მეშვეობით ემიგრანტები მარნეულის კვიდრები რომლებიც დატოვეს მშობლიური კუთხე მათთან ინტერნეტის მეშვეობით დამყარებულია კავშირი.

თემთან საქართველოს გარეთ – მათთან ვინც მარნეულში ცხოვრობდა და ვისაც ჯერაც აქ ჰყავს ნათესავები და აინტერესებს მარნეულის სიახლეები, ასევე სეზონუ სამუშაოებზე ქვეყნიდან დროებით გასულ მარნეულის მაცხოვრებლებს.

მარნეულის რადიოს სამაუწყებლო ბადე

სათემო რადიოს პროგრამირების პოლიტიკა ეფუძნება რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია სამაუწყებლო ბადის შემუშავებისას:

თემის წევრთა თანამონაწილეობა პროგრამებში;
სათემო სიახლეების პრიორიტეტული გაშუქება;
ფაქტებისა და მოვლენების ბალანსირებული გაშუქება;
რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების ასახვა;
ადგილობრივი არჩევნების გარემოს ჩამოყალიბება დისკუსიების, დებატების, ინტერაქტიული საუბრების გამოყენებით;
საგანმანათლებლო მაუწყებლობის განვითარება

სათემო რადიო მარნეულის თანამშრომლებმა სამაუწყებლო ბადის შედგენისას გაითვალისწინეს როგორც ზემოთ აღნიშნული პრინციპები, ისე ადგილობრივი რეალობა– მარნეულის თემის ცხოვრების რითმი და დინამიკა.

მაუწყებლობა იწარმოებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, ახალი ამბები მომზადდება ამ ორ ენაზე. ხოლო მოხალისეების მიერ ინიცირებული საავტორო გადაცემები შესაძლებელია იყოს სომხურ, რუსულ ან სხვა ენაზე რომელზეც მარნეულის თემის წარმომადგენლები ისურვებენ გააკეთოს საკუთარი საავტორო გადაცემა.

RADIO MARNEULI

თუ სომხურენოვან ან რუსულენოვან თემის წარმომადგენლებს გაუჩნდებათ სურვილი გაიგონ ახალი ამბები ამ ორ ენაზე. საკუთარი რესურსების გამოყენებით მათ ეს შესაძლებლობა მიეცემათ.

**დანართი 1 (სათემო რადიოს 7 დღიანი ბადე)**

**როდესაც "სათემო რადიო მარნეულს"** სამაუწყებლო ლიცენზია ექნება, ის დონორებისგან მეტი ყურადღებისა და მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებს. გარდა ამისა, ის შეძლებს უფრო აქტიურად ჩაერთოს ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელურ პროექტებში და თავისი წვლილი შეიტანოს ისეთი საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში, რაც ეხება საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ცხოვრების ჯანმრთელი წესის პროპაგანდას, გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციას და მსგავს საკითხებს. ის შეძლებს ითანამშრომლოს სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რათა მათ ექსტრაკურიკულური აქტივობებისთვის, როგორიცაა მოსწავლეებისთვის დებატების კულტურის განვითარება, მეტყველების კულტურისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება და შემოქმედებითი უნარების განვითარება, გამოიყენონ რადიოს შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია, რომ სათემო რადიო "მარნეულს" უკვე აქვს კარგი სამუშაო გარემო, რადიო გადაცემების წარმოებისთვის საჭირო რადიო საეთერო, აუდიო ჩამწერი და კომპიუტერული აღჭურვილობა, და მოქნილი ვებ-გვერდი. ასევე დონორების დახმარებით გადამცემიც აქვთ შეძენილი. მას მხოლოდ საქართველოს ეროვნული კოუნიკაციების კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით მისი დამონტაჟება დასჭირდება.

სათემო რადიო “მარნეულს” ჰყავს გამოცდილი და ენერგიული მენეჯერი, რომელიც ამავე დროს კარგი ჟურნალისტი და პროდიუსერია და ტექნიკური პერსონალი, რომელიც კარგად ერკვევა კომპიუტერულ და რადიოტექნიკაში. ასევე რადიოს ყავს მეგობრები: გამოცდილი ჟურნალისტები რომლებიც ამ დროსი განმავლობაში უსასყიდლოთ ეხმარებოდნენ და უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, ცოდნას, და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში აპირებენ ასეთი სახით მეგობრობას.

საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მიერ ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომელმაც საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში, მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტში, სათემო რადიოს მიმართ მოსახლეობის ინტერესი გამოავლინა, და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოცხადებულმა კონკურსმა სათემო რადიომაუწყებლობის შესახებ ლიცენზიის მოსაპოვებლად ქალაქ მარნეულში, ახალი შესაძლებლობები შექმნა მარნეულის მოსახლეობისა და სათემო რადიო “მარნეულს”

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობა ახალ სიცოცხლეს შთაბერავს სათემო რადიო “მარნეულის“ გუნდს და განაახლებს მის ენთუზიაზმს და საშუალებას მისცემს თემის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა, ტრენინგებზე შეძენილი უნარ-ჩვევები და კონტაქტები სხვა მედია საშუალებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

RADIO MARNEULI

ააიპ ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხმ
სათემო რადიო "მარნეული
ტელ: +995 577 27 84 21; +995 557 99 44 1
ელ-ფოსტა: marneulifm@gmail.co
mail@marneulifm.g
www.marneulifm.g
Community radio "Marneul

**რადიო Marneuli FM-ის მაუწყებლობის ბადე**

| დღე/საათი | ორშაბათი | სამშაბათი | ოთხშაბათი | ხუთშაბათი | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08:00 - 09:00 | დილის პროგრამა | დილის პროგრამა | დილის პროგრამა | დილის პროგრამა | დილის პროგრამა | დილის პროგრამა | დილის პროგრამა |
| 10:00 - 11:00 | მუსიკა | საავტორო გადაცემა "ჩვენ ვმოგზაურობთ" | მუსიკა | საავტორო გადაცემა "ქალები" | მუსიკალური გადაცემა "ჩვენი დრო" [AZ] | საავტორო „ნოვწა"[AZ] | გადაცემა „ახალგაზრდების ხმა" [GE] |
| 11:00 - 12:00 | საინფორმაციო [GE/AZ] | საინფორმაციო [GE/AZ] | საინფორმაციო [GE/AZ] | საინფორმაციო [GE/AZ] | საინფორმაციო [GE/AZ] | მუსიკა | მუსიკა |
| 12:30 - 13:30 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა |
| 13:30 - 15:00 | დაიჯესტი | დაიჯესტი | დაიჯესტი | დაიჯესტი | დაიჯესტი | მუსიკა | მუსიკა |
| 15:00 - 15:45 | „დღის მეორე ნახევარი" [GE] | „დღის მეორე ნახევარი" [GE] | „დღის მეორე ნახევარი" [GE] | „დღის მეორე ნახევარი" [GE] | „დღის მეორე ნახევარი" [GE] | მუსიკა ჩვენ ცხოვრებაში [RU] | „დღის მეორე ნახევარი" კვირის შემაჯამებელი |
| 15:45 - 16:00 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა |
| 16:00 - 16:45 | „დღის მეორე ნახევარი" [AZ] | „დღის მეორე ნახევარი" [AZ] | „დღის მეორე ნახევარი" [AZ] | „დღის მეორე ნახევარი" [AZ] | „დღის მეორე ნახევარი" [AZ] | სიახლეები [AZ] | სიახლეები [AZ, განმეორება] |
| 16:45 - 17:30 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | კვირის შემაჯამებელი "შუადღის შემდეგ" | კვირის შემაჯამებელი "შუადღის შემდეგ" |

RADIO MARNEULI

ააიპ ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხ
სათემო რადიო "მარნეულ
ტელ: +995 577 27 84 21; +995 557 99 44 1
ელ-ფოსტა: marneulifm@gmail.co
mail@marneulifm.g
www.marneulifm.g
Community radio "Marneu

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 - 18:00 | საავტორო „პოეზიის საღამოები" | საავტორო "Dünəndən bugünə" [AZ] | საავტორო „რეგიონ +" [AZ] | საავტორო "სტუდენტები" [აზერ]" | საავტორო "ცნობიერება" [GE] | მუსიკა | მუსიკა |
| 18:00 - 18:30 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | „ცნობიერება" [AZ] | მუსიკა | მუსიკა |
| 18:30 - 19:00 | საინფორმაციო | საინფორმაციო | საინფორმაციო | საინფორმაციო | საინფორმაციო | საინფორმაციო | საინფორმაციო |
| 19:00 - 19:30 | შუადღის შემდეგ, [განმეორება] | შუადღის შემდეგ, [განმეორება] | საავტორო „პოლიფონია" [GE] | შუადღის შემდეგ, [განმეორება] | შუადღის შემდეგ, [განმეორება] | შუადღის შემდეგ, [განმეორება] | შუადღის შემდეგ, [განმეორება] |
| 19:30 - 20:00 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა |
| 20:00 - 21:00 | Xəbərlər [AZ, განმეორება] | Xəbərlər [AZ, განმეორება] | Xəbərlər [AZ, განმეორება] | Xəbərlər [AZ, განმეორება] | საავტორო "რჩეულები" | მუსიკა | მუსიკა |
| 21:00 - 23:00 | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა | მუსიკა |
| 23:00-23:30 | საინფორმაციო [განმეორება] | საინფორმაციო [განმეორება] | საინფორმაციო [განმეორება] | საინფორმაციო [განმეორება] | საინფორმაციო [განმეორება] | მუსიკა | მუსიკა |
| 23:30 - 24:00 | საინფორმაციო [შუადღის შემდეგ, განმეორება] | საინფორმაციო [შუადღის შემდეგ, განმეორება] | საინფორმაციო [შუადღის შემდეგ, განმეორება] | საინფორმაციო [შუადღის შემდეგ, განმეორება] | საინფორმაციო [შუადღის შემდეგ, განმეორება] | მუსიკა | მუსიკა |
| 24:00 - 08:00 | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop | მუსიკა Non-Stop |

RADIO MARNEULI

ააიპ ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხ
სათემო რადიო "მარნეულ
ტელ: +995 577 27 84 21; +995 557 99 44
ელ-ფოსტა: marneulifm@gmail.co
mail@marneulifm.
www.marneulifm.
Community radio "Marneu

**დილის პროგრამა:** პროგრამის გახსნა, მუსიკალური ტიხრები, ადგილობრივი ანონსები და მოკლე განცხადებები. ასევე, დილის პროგრამაშია: დრო, ამინდი, ვალუტის კურსი, დღის რადიო–ეთერის თემების დაანონსება, დღის მოვლენების ანონსი, წინა დღის ინფორმაციების გამეორება.

**საავტორო გადაცემა "ჩვენ ვმოგზაურობთ"** - ჟურნალისტის საავტორო გადაცემა მოგზაურობაზე. ფორმატი „ინტერვიუ". სტუმრები ყვებიან საკუთარ გამოცდილებას, ემოციებს, შთაბეჭდილებებს ქვეყნებიდან სადაც იყვნენ ნამყოფი.

**საავტრო გადაცემა "ქალები"** - რადიოს მოხალისეს საავტორო გადაცემა. ფორმატი „ინტერვიუ' სტუმრები მარნეულში მცხოვრები ქალბატონები: სხვადასხვა პროფესიის. საუბრობენ თემებზე რომლებიც აქტუალურია მარნეულის საზოგადოებაში.

**მუსიკალური გადაცემა "ჩვენი დრო" [AZ]** - რადიოს ჟურალისტის საავტორო გადაცემა. მუსიკალური ფორმატი. ახალგაზრდა მუსიკოსებთან ქვემო-ქართლიდან ინტერვიუ. როგორ მუშაობენ საკუთარი თავის პოპულარიზაციაზე, რა მუსიკას უსმენენ. როგორ წერენ საკუთარ მუსიკას. სამომავლო გეგმები.

**გადაცემა „ახალგაზრდების ხმა" [GE]** - რადიოს ჟურნალისტის საავტორო გადაცემა. ფორმატი - თოქ-შოუ. ახალგაზრდა მარნეულელები საუბრობენ მარნეულში არსებულ რეალობაზე, პრობლემებზე, წამატებებზე გადაწყვეტის გზებზე. FM გასვლის შემდეგ გადაცემაში იქნება მოქალაქეების ზარები სტუდიაში -მსმენელების ჩართვა.

**12 საათიანი საინფორმაციო პროგრამა:** ადგილობრივი სიახლეები, ჟურნალისტების მიერ მომზადებული თემები, ლოკალური მოვლენები, ანონსები, მუსიკალური ტიხრები, სოციალური და სხვა ტიპის რეკლამა. 10 წუთი – ქართულ ენაზე, 10 წუთი – აზერბაიჯანულ ენაზე.

**დაიჯესტი:** საქართველოს მასშტაბის მოვლენების დაიჯესტი. სანდო, ეთიკური მედიაზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის მიმოხილვა, რომელიც აქტუალურია მარნეულის თემისთვის.
შეიცავს: მუსიკალურ ტიხრებს, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების ანონსებს.
ინფორმაციის გამოყენება ხდება მხოლოდ გავლენიანი და სანდო მედია–საშუალებებზე დაყრდნობით, გადაცემის ბოლოში და დასაწყისში სარეკლამო ტიხრებით. 15 წუთი ქართულად, 25 წუთი აზერბაიჯანულად (მაუწყებლობის დაწყებიდან პირველი 3 თვე, შემდგომ დრო განაწილდება თანაბრად და იქნება 20/20 წუთი თითოეულ ენაზე).

RADIO MARNEULI

ააიპ ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხმ
სათემო რადიო "მარნეულ
ტელ: +995 577 27 84 21; +995 557 99 44 1
ელ-ფოსტა: marneulifm@gmail.co
mail@marneulifm.g
www.marneulifm.g
Community radio "Marneul

**15 საათიანი ,,დღის მეორე ნახევარი" [GE]:** ადგილობრივი სიახლეები, ჟურნალისტების მიერ მომზადებული თემები, რეპორტაჟები ლოკალური მოვლენებზე, საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები, ანონსები, მუსიკალური ტიხრები, დღის თემა- სტუმარი სტუდიაში, სოციალური და სხვა ტიპის რეკლამა.

**„მუსიკა ჩვენ ცხოვრებაში".** რადიოს მოხალისეს რუსულენოვანი საავტორო გადაცემა. მუსიკალურ ჯგუფებზე, მომღერლებზე, კომპოზიტორებზე. მუსიკალური კომპოზიციები.

**„დღის მეორე ნახევარი" [AZ] - ყოველკვირეული გადაცემა 16 საათზე -** ადგილობრივი სიახლეები, ჟურნალისტების მიერ მომზადებული თემები, რეპორტაჟები ლოკალური მოვლენებზე, საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბები, ანონსები, მუსიკალური ტიხრები, დღის თემა- სტუმარი სტუდიაში, სოციალური და სხვა ტიპის რეკლამა.

**საავტორო „პოეზიის საღამოები" -** რადიო მოხალისეს საავტორო გადაცემა პოეზიაზე. საკუთარი თემატურად დაყოფილი ლექსების წაკითხვა. სხვა პოეტებთან, მწერლებთან განხილვა.

**"Dünəndən bugünə" (წარსულიდან დღევანდელ დღემდე) [AZ] -** რადიოს ჟურნალისტის საავტორო გადაცემა. როგორ ვითარდებოდა მარნეული. ადამიანური ისტორიები წარსულიდან. შედარება დღევანდელ დღესთან. სტუმრები- მარნეულის მკვიდრები.

**საავტორო „რეგიონ +" [AZ] -** რადიოს ჟურნალისტის საავტორო გადაცემა რეგიონში მომხდარ სიახლეებზე. სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მარნეულელები სტუმრად რეგიონის განვითარების გზებზე საუბრობენ. ფორმატი- ინტერვიუ, ერთი- ორი სტუმარი.

**საავტორო "სტუდენტები" [აზერ]"** რადიოს ჟურნალისტის საავტორო გადაცემა. თემები: განათლება: სკოლა, უნივერსიტეტი, კოლეჯები. სტუმრები: აბიტურიენტები, კურსდამთავრებულები, პირველკურსელები.. სტუდენტური ცხოვრების განხილვა.გადაცემა შეიცავს: გამოკითხვა (Vox-Pop), ინტერვიუ სპეციალისტთან, განხილვა სტუდიაში სტუმრებთან ერთად.

**"ცნობიერება"** [AZ][GE] - **პარასკევის დღის მთავარი თემა. ვრცელი რეპორტაჟი აქტუალურ, მნიშვნელოვან მარნეულელებისთვის თემებზე ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.** გადაცემა შეიცავს სიუჟეტს, ხალხის გამკითხვას, ინტერვიუს, ექსპერტთა აზერს.

RADIO MARNEULI

ააიპ ჟურნალისტთა კავშირი „ხალხის ხმა“
სათემო რადიო “მარნეული“
ტელ: +995 577 27 84 21; +995 557 99 44 15;
ელ-ფოსტა: marneulifm@gmail.com
mail@marneulifm.ge
www.marneulifm.ge
Community radio “Marneuli”

**ხონჩა [აზერ]:** კლასიკური VoxPop, მომზადებული ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში [სადგური, სავაჭრო ცენტრი, სასწავლებელი და ა.შ.]. წარმოადგენს მოკლე, მაქსიმუმ 25 წამიან ინტერვიუს, როდესაც მოქალაქები კონკრეტულ, ცალკე აღებულ თემაზე საუბრობენ. "ხონჩა []" შეიცავს მუსიკალურ ტიხრებს, ანონსებს თავად რადიოსადგურის გადაცემის თემებზე. არანაირი ფორმით არ შეიცავს რეკლამას [როგორც კომერციულს, ასევე სოც.რეკლამას]. ამ გადაცემის ფორმატში სტუდიაში სტუმრების მოწვევა და საკუთარი აზრის დაფიქსირება სხვადსხვა მოვლენებზე.

**საავტორო“Seçimlər (რჩეულები)[AZ]: რადიოს** ჟურნალისტის საავტორო გადაცემა მარნეულელ ახალგაზრდები რომლებმაც სხვადასხვა სფეროში მიაღწიეს წარმატებას. ინტერვიუს სახით ისინი ყვებიან რადიო ეთერში საკუთარი წარმატების ფორმულას და უზიერებენ გაცდილებას.

**საავტორო „პოლიფონია“[GE]:** რადიოს ჟურნალისტის საავტორო გადაცემა „პოლიფონია“ მარნეულელი ხელოვანები: მწერლები, პოეტები, მომღერლები, მხატვრები. მარნეულელი ხელოვანი ადამიანების გადაცემამდე უცნობი ისტორიები.

**საინფორმაციო გამოშვება Xəbərlər [GE] [AZ]:** ადგილობრივი სიახლეები, ჟურნალისტების მიერ მომზადებული თემები, ლოკალური მოვლენები, ანონსები, მუსიკალური ტიხრები აზერბაიჯანულ ენაზე. ეს იქნება ქართული საინფორმაციოების თარგმანის რეპლიკაც.

**კვირის შემაჯამებელი “დღის მეორე ნახევარი“ [GE] [AZ]::** წარმოადგენს საინფორმაციო პროგრამის ანალოგს, დაფუძნებულს ადგილობრივ სიახლეებზე, მაგრამ გადაცემაში გაჟღერდება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი თემები გასული კვირის მანძილზე და მათი ღრმა ანალიზი.